

## თემა 6. ენა როგორც კოლექტიური გაგებინების საშუალება

### 6.1. კონვენციონალიზაცია

როგორც უკვე ვიცით, ფერდინანდ დე სოსიურის მიხედვით (zit. nach Volmert, 2001) ენა როგორც რომელიმე ერთი კონკრეტული ენობრივი კოლექტივის კუთვნილება გარკვეული წესების მიხედვით მოწესრიგებულ სისტემას წარმოადგენს, რომელშიც ყოველ სიტყვას ანუ სიმბოლოს (როგორც ენობრივ ნიშანს) ორი მხარე გააჩნია, ანუ ენობრივი ნიშანი ბილატერალურია. ერთი არის გამოხატვის პლანი, ანუ ბგერითი ხატი(იმავე აცოუსტიქუე), ხოლო მეორე არის შინაარსის პლანი, წარმოდგენა ანუ ცნება(Konzept). ორივე მხარე ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული როგორც ქაღალდის ერთი ფურცლის ორი მხარე. მაგალითად, თუ ჩვენ გვესმის სიტყვა [ბაუმ], მაშინ ჩვენ წარმოვიდგენთ (სურათს, ხატს) – ხეს ‚Baum‘ და პირიქით, ჩვენს ყურში ჩნდება გახმოვანებული ცნება, იმ დროს როდესაც ხეს წარმოვიდგენთ(Vოლმერტ, 2001).

ნიშნის ამ ბილატერალური მოდელით აიხსნება ენობრივი ნიშნის ერთერთი უმთავრესი ნიშანი-კონვენციონალიზაცია. „ცნებისა და ბგერის ყოველი კავშირი ემყარება საზოგადოებრივ შეთანხმებას (კონვენციას)“ (Volmert, 2001, შ. 19). ენობრივი ნიშანი, ამრიგად, მხოლოდ მაშინ არის ლეგიტიმური და გაგებინებისთვის გამოსაყენებელი, თუ ის ენობრივი კოლექტივის მიერ არის დადგენილი, მიღებული და აღიარებული ანუ თუ ის კონვენციონალურია.

ენა ორმაგი ბუნების ფენომენია- ის ერთი მხრივ საზოგადოების სოციალურ კუთვნილებას წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ ცალკეული ინდივიდუუმების ინტელექტუალურ-სულიერ კუთვნილებას. ენობრივ კოლექტივს ქმნიან ადამიანები, რომლებიც ერთ ენაზე მეტყველებენ. ინდივიდს, რომელიც ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივს მიეკუთვნება, ანუ ენობრივი კოლექტივის წევრია ((Sprachteilhaber) როგორც ე.წ. native speaker- (ნაუმ ჩომსკის ტერმინოლოგიით) ე.წ. „დედაენაზე მეტყველ პირს“, დედაენის წესების სისტემა ადრეულ ასაკში აქვს შეთვისებული და ამიტომ მას განსაკუთრებით კარგად ფლობს (Vოლმერტ, 2001). ენობრივი კოლექტივის წევრები მუდმივი კომუნიკაციის პროცესში არიან ჩართულნი ერთმანეთთან, რაც ცხადია ენობრივი ინტერაქციის მეშვეობით ხორციელდება.

ინტერაქციის მონაწილეები დიალოგის პროცესში ცვლიან როლებს- მეტყველი/მსმენელი, ისე რომ კომუნიკაციის პროცესი რევერსიულია (reversiv) - ანუ პროდუცენტი (Sender) ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქცეს რეციპიენტად (Empfänger).

ის, რომ ენა კომუნიკაციის საშუალებაა, რომ ის ერთი ხალხის, ერთი ეთნოსის ან თუნდაც ერთი ტომის ფარგლებში გაგებინების საშუალებას წარმოადგენს, ამას უკვე დიდი ხნის წინ მიხვდნენ ადამიანები, როცა ერთი ტომის ადამიანები შეხვდნენ მეორე ტომის ან სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს და ის ენა, რაც მათთვის ჩვეულებრივ ერთმანეთთან

ურთიერთობისა და გაგებინების საშუალება იყო აღარ გამოადგათ სხვებთან ურთიერთობის დროს. მამგრამ ადამიანები დღესაც, მაშინ უფრო მეტს ფიქრობენ ენის რაობაზე, მის არსზე, როცა კომუნიკაცია, გაგებინება არასაკმარისი ხდება ან ვერ შედგება, შეუძლებელი ხდება რაიმე მიზეზების გამო. ეს არა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა სხვადასხვა ენობრივი კოლექტივების წევრები, სხვადასხვა ენის მატარებლები ხვდებიან ერთმანეთს, არამედ მაშინაც, როდესაც ზოგჯერ ერთი ენის ფარგლებშიც კი ადამიანს უჭირს აზრების და უფრო მეტად გრძნობების გამოხატვა-გაზიარება კომუნიკაციის პარტნიორისთვის, როცა ის ეძებს და ვერ პოულობს შესაფერის სიტყვებსა და გამოთქმებს.

სწორედ ამ მომენტიდან იწყება კომუნიკაციის პარტნიორების, მეტყველი სუბიექტების ასე ვთქვათ გადაადგილება, გადანაცვლება ბუნებრივი ენიდან მეტაენის სიბრტყეზე, როცა ისინი იწყებენ ლაპარაკს ენაზე ისევ ენის მეშვეობით, როცა ისინი ენობრივი გამოხატვის სიძნელეებს აცნობიერებენ და იწყებენ ენის, როგორც ობიექტის რეფლექსიას და მასზე მსჯელობას ანუ მის თემატიზებას ახდენენ. ენათმეცნიერება სწორედ არის მეცნიერება ენის შესახებ, რომელიც ბუნებრივ ენას იკვლევს ისევ (მეცნიერული) ენის მეშვეობით ანუ ენათმეცნიერება მეტაენას წარმოადგენს. .

პირველი, რისი გააზრებაც ამ დროს ხდება სწორედ ის არის, რომ ერთი ენობრივი კოლექტივის წევრები აცნობიერებენ ფაქტს, რომ მათ ურთიერთგაგებინება უნდა შეეძლოს და ჩვეულებრივ შეუძლიათ კიდევ. ამის საფუძველი კი ის არის, რომ მათი ენა კონვენციონალიზებულია (შეთანხმებულია) ანუ ამ კომკრეტული ერთი ენის სისტემის ელემენტები დადგენილია შესაბამისი ენობრივი კოლექტივის მიერ მისი ანუ ენის სისტემის ელემენტების ხანგრძლივი გამოყენების პროცესში და ამით, ესა თუ ის ენა განსხვავდება სხვა ენისგან.

გაგებინების პრობლემები შესაძლოა იმიტომაც წარმოიშვას, რომ სიტყვებს ხშირად გააჩნიათ ე.წ. დენოტატიური ანუ ძირითადი და კონოტატიური, ანუ სეკუნდარული (მეორადი) ანუ კონტექსტუალური მნიშვნელობა. მაგალითად, კონოტაციური მნიშვნელობის არის „მემარჯვენეები“ (Rechte) და „მემარცხენეები“ (Linke (როგორც გარკვეული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პირები) გერმანულ ენაში, რადგან ისინი ძირითადი ანუ პარადიგმატული მნიშვნელობის მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვებით გამოიხატება ‚rechts‘ ( მარჯვნივ/ მემარჯვენე) და ‚links‘ ( მარცხნივ/ მემარცხენე).

ამრიგად, კომუნიკაცია არის კულტურის მნიშვნელოვანი და კომპლექსური ნაწილი, ფაქტიურად ადამიანური არსის შემადგენელი ნაწილი. იგი არის სოციალური სახის სიმდიდრე, რადგან ადამიანების კომუნიკაციის განხორციელება ენის გარეშე შეუძლებელია. ამდენად ენა ადამიანური არსებობის აუცილებლობასაც წარმოადგენს.

ენის გაგება ყველაზე მარტივად ენასთან თამაშის დროს შეიძლება, როცა მაგალითად შევადგენთ ტექსტს, რომელშიც შევეცდებით სახელებსა და ზმნებს „გადავარქვათ“ მათთვის ტრადიციით მინიჭებული სახელები. ამგვარ ტექსტს ყველა წაიკითხავს, რადგან ეს სიტყვები ჩვენს ენას ეკუთვნის, მაგრამ სიტყვების ჩანაცვლების გამო მნიშვნელობის, აზრის გაგება ძნელად თუ მიიღწევა ან სულაც შეუძლებელი ხდება. მხოლოდ ენასთან ამ კონკრეტული თამაშის მონაწილენი თუ გაიგებდნენ მათ მიერ მოგონილ ენაში დამალულ აზრს და შესძლებდნენ ინტერაქციის განხორციელებას, თუმცა სხვა მხრივ ამგვარი “ენა” ენობრივი კოლექტივისთვის გამოუსადეგარი იქნება.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ასევე, რომ კომუნიკაცია ყოველთვის არ არის ვერბალური ანუ ყოველთვის არ ხორციელდება ენის მეშვეობით, შესაძლოა ასევე ე.წ. ნონ-ვერბალური კომუნიკაცია, (განსაკუთრებით ყრუ- მუნჯებში, ე.წ. ყრუ - მუნჯთა ენა). აქაც ისევე როგორც სიტყვების შემთხვევაში, აუცილებელია, რომ კომუნიკაციის მონაწილეებმა იცოდნენ ეს ნიშნები და ჟესტები, შეეძლოთ მათი გამოყენება მათი ცოდნის საფუძველზე, შეეძლოთ მათი მნიშვნელობის გაგება, მათი სწორი ინტერპრეტაცია.

შევეცადოთ ფიქციონალური ტექსტის მეშვეობით ვიმსჯელოთ ენის კონვენციონალობის შესახებ. ამისათვის გავეცნოთ ცნობილი შვეიცარიელი მწერლის პეტერ ბიქსელის მცირე მოთხრობას „მაგიდა მაგიდაა“- **Ein Tisch ist ein Tisch.**

ავტორის Peter Bichsel „პეტერ ბიქსელი“-ის შესახებ

პეტერ ბიქსელი დაიბადა შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში 1935 წლის 24 მარტს. დღეს ის ქ.სოლტურნში ცხოვრობს, (ისევ შვეიცარიაში). ის მოღვაწობდა როგორც სკოლის მასწავლებელი, რეპორტიორი რადიოსა და ტელევიზიაში, იმოგზაურა როგორც ლექტორმა მრავალ ქვეყანაში.

მისი წიგნებიდან ცნობილია „საბავშვო ისტორიები“ (1964), “წელიწადის დროები”(1967), „ქალაქ პარიზის შესახებ(1993).“. მისი ნაწარმოებები გამორჩეულია ირონიული, გროტესკულ-სატირული და ლაკონური სტილით, რომელმაც დიდი გავლენა იქნია მთელს თანამედროვე გერმანულენოვან ლიტერატურაზე. პეტერ ბიქსელი არის ბერლინის ხელოვნების აკადემიის წევრი და მრავალი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი.

**Peter Bichsel –ის მცირე მოთხრობის „Ein Tisch ist ein Tisch“ მოკლე ვერსია**

1. Ich möchte euch von einem alten Mann erzählen, der kein Wort sagt und ganz alleine in einer Stadt lebt. Kaum etwas unterscheidet ihn von anderen Menschen: Er trägt einen grauen Hut, graue Hosen und im Winter einen langen grauen Mantel. Er wohnt im obersten Stock eines

Hauses und dort besitzt er ein kleines Zimmer. In diesem Zimmer sind zwei Stühle, ein Tisch, ein Teppich, ein Bett und ein Schrank. Auf einem kleinen Tisch steht ein Wecker, daneben liegen alte Zeitungen und ein Fotoalbum. An der Wand hängen ein Spiegel und ein Bild.

Der alte Mann machte morgens einen Spaziergang und nachmittags einen Spaziergang und abends saß er an seinem Tisch. Das war immer so, auch sonntags.

Dann gab es einmal einen besonderen Tag, einen Tag mit Sonne, mit Vogelgezwitscher, mit freundlichen Leuten und lachenden und spielenden Kindern. Für uns ist das vielleicht gar nicht so besonders, doch für den alten Mann. Das Besondere daran war, dass das alles dem Mann gefiel und er erfreute sich an diesem schönen Tag. „Jetzt wird sich alles ändern“, dachte er.

Doch als er in sein tristes immer gleiches Zimmer zurückkehrte war er wieder traurig.

„Immer derselbe Tisch“, sagte der Mann, „dieselben Stühle, das Bett, das Bild. Und zu dem Tisch sage ich Tisch und zu dem Bild sage ich Bild. *Warum denn eigentlich?*“ Die Franzosen sagen zu dem Bett "li", zu dem Tisch "tabl", nennen das Bild "tablo" und den Stuhl "schäs", und sie verstehen sich. Und die Chinesen verstehen sich auch. „Warum heißt das Bett nicht Bild“, dachte der Mann und er sagte von nun an zu dem Bett „Bild“. „Ich bin müde, ich will ins Bild“, sagte er, und morgens blieb er oft lange im Bild liegen und überlegte, wie er nun zu dem Stuhl sagen wolle, und er nannte den Stuhl „Wecker“. Er benannte alle Möbel in seinem Zimmer um. Der Mann fand das lustig, und er übte den ganzen Tag und prägte sich die neuen Wörter ein.

Am Morgen blieb der alte Mann lange im Bild liegen, um neun läutete das Fotoalbum, der Mann stand auf und stellte sich auf den Schrank, dann nahm er seine Kleider aus der Zeitung und zog sich an.

**2.** Jetzt wurde alles umbenannt: Er war jetzt kein Mann mehr, sondern ein Fuß, und der Fuß war ein Morgen und der Morgen ein Mann. Der Mann vertauschte auch die anderen Wörter (Verben). So dass es dann heißt: Am Mann blieb der alte Fuß lange im Bild läuten, um neun stellte das Fotoalbum, der Fuß fror auf und blätterte sich aus dem Schrank, damit er nicht an die Morgen schaute.

Dann lernte er für alle Dinge die neuen Bezeichnungen und vergaß dabei mehr und mehr die richtigen. Er hatte jetzt eine neue Sprache, die ihm ganz allein gehörte. Er musste lachen, wenn er hörte, wie jemand sagte: „Gehen Sie morgen auch zum Fußballspiel?“ Oder wenn jemand sagte: „Jetzt regnet es schon zwei Monate lang.“ Er musste lachen, weil er all das nicht verstand.

Eine lustige Geschichte ist das nicht. Sie hat traurig angefangen und hört traurig auf. Der alte Mann im grauen Mantel konnte die Leute nicht mehr verstehen, das war nicht so schlimm. Viel schlimmer war, sie konnten ihn nicht mehr verstehen. Und deshalb sagte er nichts mehr. Er schwieg, sprach nur noch mit sich selbst und grüßte nicht einmal mehr.

(თარგმანი ლალი ქეცბა-ხუნდაძის)

მინდა ერთი მოხუცი კაცის შესახებ გიამბოთ, რომელიც არც ერთ სიტყვას აღარ ამბობს და მარტოდმარტო ცხოვრობს. ის თითქმის არაფრით განსხვავდება სხვა ადამიანებისგან: ნაცრისფერი ქუდი ახურავს, ნაცრისფერი შარვალი აცვია, ზამთარში კი გრძელ ნაცრისფერ ლაზადას ატარებს. ის ერთი სახლის სახურავის ქვეშ ცხოვრობს, სადაც ერთი ოთხი აქვს. ამ ოთახში ორი სკამია, ერთი მაგიდა, ხალიჩა, ერთი საწოლი და კარადა. პატარა მაგიდაზე მალვიძარა დგას, გვერდით კი ძველი გაძეთები აწყვია და ფოტოალბომი. კედელზე სარკე და სურათი კიდია.

მოხუცი ყოველ დილით და შემდეგ ნასამხრალს სასეირნოდ მიდიოდა, საღამოობით კი იგი მაგიდასთან იჯდა ხოლმე. ყოველთვის ასე იყო, კვირაობითაც.

მაგრამ ერთხელაც განსაკუთრებული დღე დადგა, მზიანი დღე, ჩიტების ჭიკჭიკით, მეგობრულად მომღიმარე ადამიანებით და მოკისკისე, მოთამაშე ბავშვებით. ეგებ ჩვენთვის ასეთი დღე არც ყოფილიყო რაიმეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ მოხუცი კაცისთვის ის სწორედ რომ განსაკუთრებული იყო. განსაკუთრებული კი ის იყო, რომ კაცს ამ მშვენიერ დღეს ყველაფერი მოსწონდა და ახარებდა: „ახლა კი ყველაფერი შეიცვლება“ ფიქრობდა ის.

მაგრამ როდესაც ის თავის მუდამ ნაღვლიან და უცვლელ ოთახს დაუბრუნდა, მას ნაღველი შემოაწვა.

„მუდამ იგივე მაგიდა“ თქვა კაცმა, იგივე სკამები, საწოლი, სურათი. მაგიდაზე ვამბობ მაგიდა, სურათზე სურათი. თუმცა კაცმა რომ თქვას, რატომ? ფრანგები საწოლს უწოდებენ "ლი", ხოლო მაგიდას "ტაბლ", სურათს "ტაბლო", ხოლო სკამს "სცჰჰს" და მათ ერთმანეთის ესმით. ჩინელებსაც ესმით ერთმანეთის. რატომ არ ჰქვია საწოლს სურათი, თქვა მან და ამის შემდეგ იგი საწოლს სურათს უწოდებდა. „დავიღალე, სურათში მინდა“, ამბობდა ის, დილაობით

დიდ ხანს იწვა სურათში და დიდხანს ფიქრობდა, რა დაერქმია სკამისთვის, და სკამს უწოდა „მალვიძარა“. მან ყველა საგანს, გადაარქვა თავის ოთახში სახელი. კაცს ეს ამხიარულებდა, ის მთელი დღე ვარჯიშობდა და იმახსოვრებდა ახალ სიტყვებს.

დილით კაცი სურათში დიდხანს იწვა, ცხრა საათზე საათმა დარეკა, კაცი ადგა და კარადაზე დადგა, მერე კი თავისი ტანსაცმელი გაზეთიდან გამოიღო და ჩაიცვა.

ახლა ყველაფერს გადაერქვა სახელი. ის კაცი კი აღარ იყო, არამედ ფეხი, ხოლო ფეხი დილა იყო და დილა კაცი. ის სხვა სიტყვებსაც ურევდა და ცვლიდა (ზმნებს). ისე რომ, ამას ასე გამოხატავდა: კაცზე მოხუცი ფეხი დიდხანს რეკავდა სურათში, მან 9ზე დააყენა ფოტოალბომი, ფეხი დადნა და გადმოიბნა კარადიდან, რათა დილისთვის არ შეეხედა.

შემდეგ იგი ყველა საგნისთვის ქმნიდა და შემდგომ სწავლობდა ახალ დასახელებებს და ამ დროს სწორი ფორმები უფრო და უფრო მეტად ავიწყდებოდა. მას ახლა ახალი ენა ჰქონდა, რომელიც მხოლოდ მისი იყო, მას ეკუთვნოდა. მეცინებოდა ხოლმე, როცა გაიგონებდა როგორ ამბობდა ვიღაც: თქვენც მიდიხართ ხვალ ფეხბურთის თამაშის სანახავად? ან როცა ვინმე იტყოდა: უკვე 2 თვეა წვიმს. მას ეცინებოდა, რადგან ეს ყველაფერი აღარ ესმოდა.

ეს არ არის მხიარული ისტორია. ის მოსაწყენად დაიწყო და ნაღვლიანად მთავრდება. ნაცრისფერ პალტოიან მოხუც კაცს ხალხის აღარ ესმოდა, ეს არც ისე ცუდი იყო. უფრო ცუდი ის იყო, რომ მათაც აღარ ესმოდათ მისი, ისინიც ვეღარ უგებდნენ მას და ამიტომ ის აღარაფერს ამბობდა, დუმდა, ლაპარაკობდა მხოლოდ საკუთარ თავთან და სხვებს აღარც კი ესალმებოდა.

პეტერ Bichsel- ის მოკლე მოთხრობის „Ein Tisch ist ein Tisch“ შინაარსი

ამ მცირე მოთხრობის პროტაგონისტი (მთავარი გმირი, ფიგურა) მოხუცი კაცია, რომელიც მეტად მოკრძალებულ და შეუმჩნეველ ცხოვრებას ეწევა. მას ერთ მშვენიერ დღეს მოუხდება თავის მონოტონურ, ერთგვაროვან და მოსაწყენ ცხოვრებაში ცვლილების შეტანა. ამისათვის იგი იწყებს თავისი ავეჯისა და სხვა საყოფაცხოვრებო საგნების სახელების გადარქმევას. ამით იგი ცდილობს ნომინაციის პროცესის თავიდან დაწყებას. იგი ზმნებსაც უცვლის სახელებს, ისე რომ მისი დედა ენა უცხო ენასავით ჟღერდეს. ის ისე ეჩვევა თავის მიერ გამოგონილ ენას, რომ სულ უფრო მეტად ავიწყდება სიტყვების პირველსაწყისი ფორმები და მნიშვნელობები. მხოლოდ და ბოლოს ეს იწვევს მის გარშემომყოფ ადამიანებთან კომუნიკაციის შეწყვეტა, რადგან მისი აღარავის ესმის და თვითონ კი მხოლოდ თავის მიერ შექმნილი ენის გამოყენება შეუძლია.

## 6.2. პეტერ ჰიქსელის ტექსტის ინტერპრეტაცია

ძირითადი არსი და პრობლემა, რომელიც ამ მცირე მოთხრობაში მეტად ცხადად და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი, ენის კონვენციონალურობაში მდგომარეობს-კომუნიკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ენობრივი კოლექტივის ყველა წევრი ამ კონვენციებს იცნობს.

მოთხრობის პროტაგონისტი მოსაწყენი ადამიანია. ამას მიანიშნებს მისი ჩაცმულობა-იგი მხოლოდ ნაცრისფერ ტანსაცმელს ატარებს. მოთხრობელი ხაზს უსვამს, რომ მისი აღწერაც კი არ ღირს, რადგან იგი სხვებისგან არ განსხვავდება „Es lohnt sich fast nicht, ihn zu beschreiben, kaum etwas unterscheidet ihn von anderen.“ მის ყოველდღიურობის მონოტონურობას აუქტორიალური მოთხრობელი (ამბის მესამე პირში მოთხრობელი) ხაზს უსვამს მალვიძარა საათის ისრების გადაადგილების ხმას: „Und wenn der Mann am Tisch saß, hörte er den Wecker ticken.“

ყოველდღიური ერთფეროვანი ცხოვრება მასაც ბეზრდება, ის უკმაყოფილოა. იმისათვის რომ თავისი არსებობის მონოტონურ ერთფეროვნებას გაექცეს იგი გადაწყვეტს სიტყვები მაინც ჩაანაცვლოს ერთმანეთს და ამით თავისი არსებობა უფრო სახალისოდ და მრავალფეროვნად აქციოს. გადაამწყვეტი მომენტი, შეცვალოს თავისი ცხოვრება დგება ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც მისთვის განსაკუთრებულია, ეს არის მზიანი დერ, არც ცხელი და არც ცივი, როცა ჩიტები იწყებენ ჟღურტულს ადამიანები კი თავაზიანი და მეგობრული არიან, ბავშვები კი გარეთ თამაშობენ: „...ein(en) Tag mit Sonne, nicht zu heiß, nicht zu kalt, mit Vogelgezwitscher, mit freundlichen Leuten, mit Kindern, die spielten...“ ეს არის მისი ნაცრისფერი ცხოვრებიდან ერთი განსხვავებული დღე, რომელიც მას მოსწონს, რომელსაც მისთვის სიხარული მოაქვს. მამგრამ როცა ის თავის ოთახში შეაბიჯებს, მისი დადებითი განწყობა იმ წამსვე, მყისიერად ქრება, და რაც მას რჩება- ეს არის მისი გაბრაზება და ბოღმა, რომ მის ცხოვრებაში არაფერი იცვლება, ყველაფერი ძველებურად რჩება

სწორედ ეს არის იმის სტიმული, რომ მან რღაც უნდა იღონოს, რღაც შეცვალოს: „Es muss sich etwas ändern.“ ამ გადაამწყვეტ მომენტში მალვიძარა ცოტა ხნით ჩერდება, მისი ხმა აღარ ისმის. მმოხუცი სრულიად გაცნობიერებულად იღებს გადაწყვეტილებას, გამოეყოს თავის ენობრივ კოლექტივს, რომელიც მის მიმართ გულგრილია, შექმნას თავისი “საკუთარი ენა”( seine „eigene Sprache“) და ამით თავისი საკუთარი სამყარო. ის ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებს თავის ჩანაფიქრს: ჯერ კმაყოფილდება იმით რომ სახელებს უცვლის ავეჯსა და სხვა საგნებს. ჯოლო შემდეგ იგი უფრო შორს მიდის, როცა ზმნების ჩანაცვლებასაც ახდენს, ისე რომ მისი ენა უკვე როგორც “უცხო ენა” ისე ჟღრს. ის არ იყენებს გამოგონილ სიტყვებს ( Phantasiewörter), არამედ მხოლოდ თავისი დედაენის სიტყვებს ანაცვლებს ერთმანეთთან (სიტყვების ურთიერთჩანაცვლების მეთოდს ენათმეცნიერებაში სუბსტიტუციას უწოდებენ), ყოველი

სახელი და ზმნა მისი დედაენის კუთვნილებაა, მაგრამ ამგვარი ჩანაცვლება ახდენს კონტექსტზე დიფ ზემოქმედებას, ისე რომ მისი აღარვის ესმის. მასაც სულ უფრო და უფრო უჭირს, თავისი ახალი ენის ძველში გადაყვანა.

ეს ამბავი ნაღვლიანად იწყება და უფრო ნაღვლიანად სრულდება: მოხუცს აღარ ძალუძს თავის გარშემომყოფებთან კომუნიკაციის განხორციელება. საზოგადოებიდან გამიჯვნის მცდელობას, დინების საწინააღმდეგოდ ცურვას იგი საბოლოოდ ტოტალურ(სრულ) იზოლაციამდე მიჰყავს. ის ასე ვთქვათ გარიყულად იქცევა, საზოგადოების მიღმა რჩება (Außenseiter) და აღარაფერი შეუძლია გარდა საკუთარ თავთან კომუნიკაციისა („Selbstkommunikation“), ხოლო საზოგადოებისთვის ის საბოლოოდ მუნჯად იქცევა, რადგან მისთვის ეს საყოველთაოდ მიღებული ენობრივი ნიშნები გაუცხოებულია.

მან მოინდომა შეუძლებელი და განუხორციელებელი რამ - ენობრივი ნიშნებისთვის საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობების ჩანაცვლება, ნიშნის საყოველთაოდ მიღებული კონვენციონალურობის დარღვევა, რამაც კომუნიკაციის უნარის დაკარგვა გამოიწვია.

დასკვნა: ადამიანებს არა მხოლოდ კომუნიკაციის განხორციელება შეუძლიათ, არამედ მათ შეუძლიათ კომუნიკაციაზე ანუ ენის შესახებ საუბარი, განსჯა და ამით მეტაკომუნიკაციის განხორციელება („Menschen können nicht nur kommunizieren, sie können auch über Kommunikation sprechen, also Metakommunikation betreiben“ (Wagner, 1996).

ჩვენი ეს ლექციებიც ცხადია კომუნიკაციის ერთერი სახეობაა, რომლის შედეგადადაც ჩვენ ვიწყებთ მეტაკომუნიკაციურ დონეზე ( ანუ როცა ჩვენ მეცნიერული ენით ვცდილობთ ვილაპარაკოთ ბუნებრივ ენაზე) იმაზე ფიქრსა და მსჯელობას, თუ როგორ არის შესაძლებელი ენობრივ კოლექტივში კომუნიკაციის განხორციელება. ამისათვის ჩვენ უნებურად ვაკვირდებით ენის კოგნიტიურ და აფექტურ ფუნქციებს, იმას, რომ ურთიერთგაგებინება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ენობრივი ნიშნების ჩანაცვლებითი ფუნქცია ენობრივი კოლექტივის წევრებში არის შეთანხმებული, საყოველთაოდ ცნობილი და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი. ამრიგად, ამ მცირე მოთხრობის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ენობრივი ნიშნები კონვენციონალურია, ხოლო მოთხრობის მიზანია მკითხველი დააფიქროს არა მხოლოდ ენობრივი ნიშნების კონვენციონალურობაზე, არამედ თვით ენის როგორც სოციალური ფაქტორის მნიშვნელობაზე.

## 6.2. „გრამატიკა“ – სამი ფუძემდებლური განსხვავება

რას გულისხმობს ენის თანამედროვე გამომყენებელი გრამატიკის ცნების ქვეშ და რა არის გრამატიკა მეცნიერული თვალსაზრისით?

თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ცნება, რომლებიც აუცილებლად უნდა განვასხვავოთ. ესენია:

1. გრამატიკა როგორც წინასწარდადგენილი აუცილებელი წესების კრებული - პრესკრიფციული ანუ ნორმატიული გრამატიკა (**präskriptive oder normative Grammatik**).

გრამატიკები ამ მხრივ არის სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავენ წესებსა და ინსტრუქციებს ენის (იგულისხმება სტანდარტული ნაციონალური ლიტერატურული ენის) სწორი გამოყენების შესახებ.

ეს ეხება როგორც დედაენის გრამატიკას ასევე უცხო ენების გრამატიკის სწავლების პროცესს.

2. გრამატიკა როგორც ერთი ენის ყოვლისმომცველი აღწერა

(Deskription) ყველა დადგენილი და საკვლევია წესების გათვალისწინებით: აღწერილობითი ანუ დესკრიფციული გრამატიკა (**deskriptive Grammatik**).

ასეთია დღევანდელი გრამატიკების უმეტესობა. ეს არის ზოგჯერ ჩანაცვლებაც, როცა დესკრიფციული გრამატიკა ისე გამოიყენება როგორც სასწავლო გრამატიკა, მაგალითად, ცნობილი DUDEN- ის გრამატიკა, რომელიც განეკუთვნება ე.წ. სტანდარტული გრამატიკების რიგს ( DUDEN Grammatik 1998, შ.5).

როგორც პრესკრიფციული ასევე დესკრიფციული ტიპის გრამატიკები წარმოადგენს ე.წ. კოდიფიცირებულ (ანუ ნორმით დადგენილი წესების შესატყვის) გრამატიკებს. მეს ნიშნავს, რომ ისინი ახდენენ წესების ფორმულირებას ენის კომპლექსური სისტემის შესახებ, რომელსაც ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში თავისი ავტონომიური, საკუთარი ღირებულება გააჩნია.

3. გრამატიკა როგორც წესების სისტემა, რომელიც ერთი ენობრივი კოლექტივის წევრების მიერ (რომელთაც ეს ენა ბავშვობაში აქვთ შეძენილი როგორც დედაენა) აღიქმება როგორც ამ ენობრივი კოლექტივის საერთო, კოლექტიური საკუთრება და გადაეცემა ერთი თაობიდან ( გენერაციიდან) მეორე თაობას ( გენერაციას).

ეს არის სწორედ ე.წ. შიდაენობრივი გრამატიკა (Innere Grammatik) როგორც ერთი ენობრივი კოლექტივისთვის ბუნებრივად შეზრდილი და ამავე დროს აუცილებელი წესების სისტემა. სწორედ ეს გრამატიკა წარმოადგენს ჩვეულებრივ ენათმეცნიერების კვლევის საგანს.